

მოცეკვავე 080752

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მოცეკვავის პროფესიული სტანდარტის მიზანია მომავალი სპეციალისტი პროფესიულ დონეზე დაეუფლოს ქართული ხალხური ცეკვის საშემსრულებლო ხელოვნების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, შეისწავლოს საქართველოს თითოეული კუთხის ეთნოქორეოგრაფიული რესურსი, დაეუფლოს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ლექსიკას, ტერმინოლოგიას, შეისწავლოს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია, უზრუნველყოს საშემსრულებლო ხელოვნებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. მიღებული ცოდნების საფუძველზე შეძლოს თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული ქორეოგრაფიული საშემსრულებლო ხელოვნების, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი სეგმენტის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

II. დასაქმების სფერო

მოცეკვავის პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის მფლობელს, როგორც სპეციალური განათლების მქონე პროფესიონალს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სახელმწიფო, საუწყებო თუ სამოყვარულო ქორეოგრაფიულ ანსამბლთან. დასაქმების სფეროს განეკუთვნება აგრეთვე თეატრები, ხელოვნების ცენტრები, ქორეოგრაფიული სტუდიები. ქართული ხალხური ცეკვის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში მიღებული განათლების ფართო სპექტრი საშუალებას აძლევს პროფესიულად ჩაერთოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურულ ცხოვრებაში; შესაძლებლობა აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, პროფესიულ დონეზე მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა კულტურულ და საზოგადოებრივ აქციებში, პოპულარიზაცია გაუწიოს ეროვნულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

III. პროფესიულ - საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მოცეკვავის პროფესიული პროგრამა არის სამსაფეხურიანი და თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მოცეკვავის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 57 კრედიტს. კრედიტების 73% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მოცეკვავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მოცეკვავის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 67 კრედიტს. აქედან 68% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მოცეკვავის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მოცეკვავის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 64 კრედიტს. აქედან 67% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მოცეკვავის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მოცეკვავის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- საბაზო ან სრული საშუალო განათლება.
- ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრების მოწმობა (ან დიპლომი) და სამოყვარულო ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

მოცეკვავის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სრული საშუალო განათლება.
- პროფესიულ ან სამოყვარულო ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.
- მოცეკვავის მესამე საფეხურის კომპეტენციების ფლობა.

მოცეკვავის მეხუთე საფეხურზე დაშვების წინაპირობებია:

- სრული საშუალო განათლება.
- პროფესიულ ან სამოყვარულო ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.
- მოცეკვავის მეოთხე საფეხურის კომპეტენციების ფლობა.

V. მოცეკვავის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მოცეკვავის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების როგორც პრაქტიკული, ასევე საისტორიო და თეორიული ასპექტები.</p> <p>იცის აუთენტური და სასცენო - ხალხური ცეკვების, მუსიკალური ფოლკლორის განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, დიალექტები, ჟანრული მახასიათებლები.</p> <p>შეუძლია საბრძოლო, სატრფიალო, სახუმარო, შრომის, შეჯიბრის და ა.შ. ცეკვების, ფერხულების პრაქტიკული (საცეკვაო ლექსიკა) და თეორიული ასპექტების შინაარსობრივი, სტრუქტურული და ფუნქციური კლასიფიცირება.</p> <p>გაცნობიერებული აქვს საქართველოს თითოეული კუთხის ეთნოკულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული რესურსის შესრულების ტრადიციული წესები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრში, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>შეუძლია ქართული ხალხური ცეკვის თეორიული, მეთოდური ცოდნებისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად გამოყენება.</p> <p>შეუძლია ამა თუ იმ პროფესიულ კონტექსტში ყოველი კონკრეტული ცეკვის ეტიოლოგიის, ქორეოგრაფიული ხასიათის ფორმირების, ქართული საცეკვაო კოსტუმის შექმნის ახსნა და პრაქტიკული დემონსტრირება.</p> <p>შემოქმედებით პროცესში ყოველთვის ითვალისწინებს ცეკვის შინაარსს, შესრულების ტრადიციულ წესებს, საცეკვაო კოსტუმის, ცეკვის მუსიკალური</p>

		<p>გაფორმების სპეციფიკურობას, საცეკვაო ილეთთა სტრუქტურულ ანალიზს დ ცეკვის სქემატურ აღწერას.</p> <p>შემოქმედებით პრაქტიკაში სრულყოფილად იყენებს როგორც ეროვნული, (ცეკვა „ქართული“, „დავლური“, „სამაია“, ფერხულები, სვანური, მეგრული, იმერული, რაჭული, ფშაური, მესხურ-ჯავახური, ქალაქური, თუშური, ქართლური, კახური, გურული, აჭარული, ხევსურული, მთიულური ცეკვები), ისე მსოფლიოს ხალხთა საცეკვაო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს.</p> <p>შემოქმედებით პროცესში შეუძლია პროფესიული უსაფრთხოების წესების დაცვა. ყოველი ქორეოგრაფიული კომპოზიციის შესრულებისას მისი ანატომიური შესაძლებლობის გათვალისწინება, საცეკვაო რეკვიზიტების: ფარ-ხმალის, ხანჯლის უსაფრთხოდ ფლობა.</p> <p>გეგმავს საკუთარ სამუშაოს, შეუძლია პროფესიულ საკითხებზე გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>დასკვნების გაკეთების უნარი მას ეხმარება პირადი შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფაში, საკუთარი თავის, როგორც შემოქმედის რეალიზაციაში.</p> <p>მიღებულ ცოდნებზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, ქორეოგრაფთან ერთად, აქტიურადაა ჩართული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის პროცესში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან</p>	<p>შეუძლია ცალკეული ქორეოგრაფიული კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალის და ტრადიციების გათვალისწინებით ინდივიდუალურად მიუდგეს მათ, ითანამშრომლოს შემოქმედებითი ინფორმაციის გაცვლის მიზნით და მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ შემოქმედებით პროექტებში.</p>

	<p>დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>კომუნიკაბელურია და აქვს ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი.</p> <p>შეუძლია შემოქმედებითი იდეებისა და ინფორმაციის თანამიმდევრული გადაცემა როგორც დარგის პროფესიონალებისათვის, ისე მოყვარულებისათვის. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო ჯგუფთან, თანამშრომლობს კოლეგებთან და მათთან ურთიერთობისას, საჭიროების შემთხვევაში იყენებს უცხო ენას.</p> <p>პროფესიულ სფეროში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციების უცხო ენაზე გადაცემა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღება</p>	<p>შეუძლია საკუთარი განსწავლის პროცესის დაგეგვა, მართვა და შეფასება, ხოლო მისი სრულყოფის მიზნით, შეუძლია სწავლის პროცესში ჩართოს გამოკითხვებისა და ინტერაქტივების კომპონენტი.</p> <p>ხელმძღვანელის მითითებების გაზიარებით, ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშებზე მოპოვებული ინფორმაციების დამუშავებით, ახდენს საკუთარი პროფესიული უნარების და საშემსრულებლო ტექნიკის შემოქმედებით განახლებას და განსწავლის პროცესის თანამიმდევრულ სრულყოფას.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად</p>	<p>მოცეკვავის ფუნდამენტური ღირებულებაა შეაფასოს და დაიცვას ქართული კულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული მემკვიდრეობა და გადასცეს მომავალ თაობებს.</p> <p>ფუნდამენტურ ღირებულებათა რიგში შედის კოლეგებისადმი საურთიერთო და პროფესიონალური ეთიკის დაცვა; მათი შემოქმედებითი უნარებისა და პროფესიონალიზმისათვის პატივისცემით მოპყრობა , მათთვის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პატივისცემისა და საკუთარი ცოდნისა და</p>

		გამოცდილების გაზიარება.
--	--	-------------------------

მოცეკვავის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>იცის ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების როგორც პრაქტიკული, ასევე საისტორიო და თეორიული ასპექტები.</p> <p>იცის აუთენტური და სასცენო - ხალხური ცეკვების, მუსიკალური ფოლკლორის განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, დიალექტები, ჟანრული მახასიათებლები.</p> <p>შეუძლია საბრძოლო, სატრფიალო, სახუმარო, შრომის, შეჯიბრის და ა.შ. ცეკვების, ფერხულების პრაქტიკული (საცეკვაო ლექსიკა), შინაარსობრივი, სტრუქტურული და ფუნქციური კლასიფიცირება.</p> <p>გაცნობიერებული აქვს საქართველოს თითოეული კუთხის ეთნოკულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული რესურსის შესრულების ტრადიციული წესები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების</p>	<p>შეუძლია ქართული ხალხური ცეკვის თეორიული, მეთოდური ცოდნებისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად გამოყენება.</p> <p>შეუძლია ამა თუ იმ პროფესიულ კონტექსტში ყოველი კონკრეტული ცეკვის ეტიოლოგიის, ქორეოგრაფიული ხასიათის ფორმირების, ქართული საცეკვაო</p>

	<p>მიზნით.</p>	<p>კოსტუმის შექმნის ახსნა და პრაქტიკული დემონსტრირება. ფლობს ეროვნული სამოსის და გრიმის შემოქმედებით პროცესში გამოყენების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. (ყაბალახის, სარტყელის, ჩიხტიკოპის, წულა-მესტი მორგება...) შეუძლია ფერების ზომიერი შერჩევა, ფლობს წვერის, ულვაშის ნაწნავის, წარბის, წამწამის სცენურ ტექნიკას, თვალის ჭრილთა მონახაზისა და ბაგეების გამოყვანის ხელოვნებას.</p> <p>შემოქმედებით პროცესში ყოველთვის ითვალისწინებს ცეკვის შინაარსს, ცეკვის მუსიკალური გაფორმების სპეციფიკურობას, საცეკვაო ილეთთა სტრუქტურულ ანალიზს და ცეკვის სქემატურ აღწერას.</p> <p>შემოქმედებით პრაქტიკაში სრულყოფილად იყენებს როგორც ეროვნული (ცეკვა „ქართული“, „დავლური“, „სამაია“, ფერხულები, სვანური, მეგრული, იმერული, რაჭული. ფშაური, მესხურ-ჯავახური, ქალაქური, თუმური, ქართლური, კახური, გურული, აჭარული, ხევსურული, მთიულური ცეკვები), ისე მსოფლიოს ხალხთა საცეკვაო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს (რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური, უნგრული მოლდავური, ესპანური, ბერძნული იტალიური ცეკვები), ისე თანამედროვე და სამეჯლისო –სპორტულ ცეკვებს („ჩა-ჩა-ჩა“, „სამბა“, „ჯაივი“, „პასადობლე“, „ნელი ვალსი“...).</p> <p>შემოქმედებით პროცესში შეუძლია პროფესიული უსაფრთხოების წესების დაცვა. ყოველი ქორეოგრაფიული კომპოზიციის შესრულებისას მისი ანატომიური შესაძლებლობის გათვალისწინება, საცეკვაო რეკვიზიტების: ფარ-ხმალის, ხანჯლის უსაფრთხოდ ფლობა.</p> <p>გეგმავს საკუთარ სამუშაოს, შეუძლია პროფესიულ საკითხებზე გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.</p>
--	----------------	--

<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და ანალიზი</p>	<p>დასკვნების გაკეთების უნარი მას ეხმარება პირადი შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფაში, საკუთარი თავის, როგორც შემოქმედის რეალიზაციაში.</p> <p>მიღებულ ცოდნებზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, ქორეოგრაფთან ერთად, აქტიურადაა ჩართული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის პროცესში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. პროფესიათან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ცალკეული ქორეოგრაფიული კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალის და ტრადიციების გათვალისწინებით ინდივიდუალურად მიუდგეს მათ, ითანამშრომლოს შემოქმედებითი ინფორმაციის გაცვლის მიზნით და მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ შემოქმედებით პროექტებში.</p> <p>კომუნიკაბელურია და აქვს ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი.</p> <p>შეუძლია შემოქმედებითი იდეებისა და ინფორმაციის თანამიმდევრული გადაცემა როგორც დარგის პროფესიონალებისათვის, ისე მოყვარულებისათვის. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო ჯგუფთან, თანამშრომლობს კოლეგებთან და მათთან ურთიერთობისას, საჭიროების შემთხვევაში იყენებს უცხო ენას.</p> <p>პროფესიულ სფეროში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციების უცხო ენაზე გადაცემა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი განსწავლის პროცესის დაგეგვა, მართვა და შეფასება, ხოლო მისი სრულყოფის მიზნით, შეუძლია სწავლის პროცესში ჩართოს გამოკითხვებისა და ინტერაქტივების კომპონენტი.</p> <p>ხელმძღვანელის მითითებების გაზიარებით და აპრობირებული საშემსრულებლო ტექნიკის გამოყენებით, ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშებზე მოპოვებული ინფორმაციების დამუშავებით, ახდენს საკუთარი</p>

		პროფესიული უნარების და სამემსრულებლო ტექნიკის შემოქმედებით განახლებას და განსწავლის პროცესის თანმიმდევრულ სრულყოფას.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	<p>მოცეკვავის ფუნდამენტური ღირებულებაა შეაფასოს და დაიცვას ქართული კულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული მემკვიდრეობა და გადასცეს მომავალ თაობებს.</p> <p>ფუნდამენტურ ღირებულებათა რიგში შედის კოლეგებისადმი საურთიერთო და პროფესიონალური ეთიკის დაცვა; მათი შემოქმედებითი უნარებისა და პროფესიონალიზმისათვის პატივისცემით მოპყრობა , მათთვის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პატივისცემისა და საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.</p>

მოცეკვავის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	<p>იცის ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების როგორც პრაქტიკული, ასევე საისტორიო და თეორიული ასპექტები.</p> <p>იცის აუთენტური და სასცენო - ხალხური ცეკვების, მუსიკალური ფოლკლორის განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, დიალექტები, ჟანრული მახასიათებლები.</p> <p>შეუძლია საბრძოლო, სატრფიალო, სახუმარო, შრომის, შეჯიბრის და ა.შ. ცეკვების, ფერხულების პრაქტიკული, (საცეკვაო ლექსიკა), შინაარსობრივი, სტრუქტურული და ფუნქციური კლასიფიცირება.</p> <p>გაცნობიერებული აქვს საქართველოს თითოეული კუთხის ეთნოკულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული რესურსის შესრულების ტრადიციული წესები.</p>
------------------------------	--	---

		<p>(ცეკვა „ქართული“ - შესრულების ტრადიციული წესები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვაჟი ცეკვისას უნდა ცდილობდეს, თავისი სამოსით არ შეეხოს ქალისას. • ცეკვის დაწყებიდან დამთავრებამდე ვაჟმა ყურადღება უნდა მიაქციოს მხოლოდ მოცეკვავე ქალს... <p>ცეკვა „ხორუმი“ - შესრულების ტრადიციული წესები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცეკვა ხორუმს ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები • შემსრულებელთა რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა იყოს...)
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად</p>	<p>შეუძლია ქართული ხალხური ცეკვის თეორიული , მეთოდური ცოდნებისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად გამოყენება.</p> <p>შეუძლია ამა თუ იმ პროფესიულ კონტექსტში ყოველი კონკრეტული ცეკვის ეტიოლოგიის, ქორეოგრაფიული ხასიათის ფორმირების, ქართული საცეკვაო კოსტუმის ისტორიის ახსნა. შეუძლია ყოფითი და სასცენო კოსტუმის გამიჯვნა, ფლობს ეროვნული სამოსის და გრიმის შემოქმედებით პროცესში გამოყენების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. (ყაბალახის, სარტყელის, ჩიხტიკოპის წულა-მესტის მორგება...) შეუძლია ფერების ზომიერი შერჩევა, ფლობს წვერის,უღვაშის ნაწნავის, წარბის, წამწამის სცენურ ტექნიკას, თვალის ჭრილთა მონახაზისა და ბაგეების გამოყვანის ხელოვნებას, რის საფუძველზეც შეუძლია სხვადასხვა სცენური პორტრეტის შექმნა.</p> <p>შემოქმედებით პროცესში ყოველთვის ითვალისწინებს ცეკვის შინაარსს, მუსიკალური გაფორმების სპეციფიკურობას, საცეკვაო ილეთთა</p>

		<p>სტრუქტურულ ანალიზს და ცეკვის სქემატურ აღწერას.</p> <p>შემოქმედებით პრაქტიკაში სრულყოფილად იყენებს როგორც ეროვნული (ცეკვა „ქართული“, „დავლური“, „სამაია“, ფერხულები, სვანური, მეგრული, იმერული, რაჭული. ფშაური, მესხურ-ჯავახური, ქალაქური, თუმური, ქართლური, კახური, გურული, აჭარული, ხევსურული, მთიულური ცეკვები), ისე მსოფლიოს ხალხთა საცეკვაო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს (რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური, უნგრული მოლდავური, ესპანური, ბერძნული, იტალიური ცეკვები). შემოქმედებით პროცესში შეუძლია პროფესიული უსაფრთხოების წესების დაცვა. ყოველი ქორეოგრაფიული კომპოზიციის შესრულებისას მისი ანატომიური შესაძლებლობის გათვალისწინება, საცეკვაო რეკვიზიტების: ფარ-ხმალის, ხანჯლის უსაფრთხოდ ფლობა. გეგმავს საკუთარ სამუშაოს, შეუძლია პროფესიულ საკითხებზე გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება</p>	<p>დასკვნების გაკეთების უნარი მას ეხმარება პირადი შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფაში, საკუთარი თავის, როგორც შემოქმედის რეალიზაციაში. მიღებულ ცოდნებზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, ქორეოგრაფთან ერთად, აქტიურადაა ჩართული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის პროცესში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო</p>	<p>შეუძლია ცალკეული ქორეოგრაფიული კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალის და ტრადიციების გათვალისწინებით ინდივიდუალურად მიუდგეს მათ, ითანამშრომლოს შემოქმედებითი ინფორმაციის გაცვლის მიზნით და მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ შემოქმედებით პროექტებში.</p> <p>კომუნიკაბელურია და აქვს ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი.</p> <p>შეუძლია შემოქმედებითი იდეებისა და ინფორმაციის თანამიმდევრული</p>

	<p>ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>გადაცემა როგორც დარგის პროფესიონალებისათვის, ისე მოყვარულებისათვის. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო ჯგუფთან, თანამშრომლობს კოლეგებთან და მათთან ურთიერთობისას, საჭიროების შემთხვევაში იყენებს უცხო ენას.</p> <p>პროფესიულ სფეროში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციების უცხო ენაზე გადაცემა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი განსწავლის პროცესის დაგეგვა, მართვა და შეფასება, ხოლო მისი სრულყოფის მიზნით, შეუძლია სწავლის პროცესში ჩართოს გამოკითხვებისა და ინტერაქტივების კომპონენტი პროფესიონალების და კოლეგების გამოცდილების გათვალისწინებით.</p> <p>ხელმძღვანელის მითითებების გაზიარებით და აპრობირებული საშემსრულებლო ტექნიკის დაუფლებით, შეუძლია სპეციალურ სასწავლო ლიტერატურაში ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშებზე მოპოვებული ინფორმაციების გადამუშავება, გამოჩენილი ქორეოგრაფების მიერ (დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაძე, მიხეილ შუბაშიკელი, ზაურ ასათიანი...) ჩაწერილი ცეკვების წაკითხვა - აღდგენა და ოქროს ფონდში დაცული ვიდეო მასალების გამოყენება, რის საფუძველზეც ახდენს, საკუთარი პროფესიული უნარების, საშემსრულებლო ტექნიკის შემოქმედებით განახლებას და განსწავლის პროცესის თანმიმდევრულ სრულყოფას.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს</p>	<p>მოცეკვავის ფუნდამენტური ღირებულებაა შეაფასოს და დაიცვას ქართული კულტურული, ქორეოგრაფიული და საცეკვაო-მუსიკალური ფოლკლორული მემკვიდრეობა და გადასცეს მომავალ თაობებს.</p> <p>ფუნდამენტურ ღირებულებათა რიგში შედის კოლეგებისადმი საურთიერთო და პროფესიონალური ეთიკის დაცვა; მათი შემოქმედებითი უნარებისა და პროფესიონალიზმისათვის პატივისცემით მოპყრობა , მათთვის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი</p>

		ღირებულებისადმი პატივისცემისა და საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.
--	--	--